ოქმი:**ო05. 3726114001**

თარიღი:**24/04/2026**

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 23 აპრილი

ქ.ოზურგეთი

16:00 – 16:30-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ლ. კვაჭაძე, ქ. კვაჭანტირაძე, მ. ცქვიტინიძე, ტ. არეშიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, განკარგულების პროექტი პასუხობს საკრებულოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 95,1%- თ, გეგმიური საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთ სახე „სხვა შემოსავლები“ შესრულებულია 81,6%-ით, გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი 81,0 %-ს შეადგენს. ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, 350 ათასი ლარიდან გახარჯულია 225,1 ათასი ლარი. არსებულ ნაშთებზე, კერძოდ 2026 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 16432,6 ათასი ლარი, მთლიანი ნაშთიდან 4364, 8 ათასი ლარი საკუთარი შემოსავლებიდანაა,

რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ მართალია სოციალური მიმართულებით სარეზერვო ფონდის ხარჯვის მაჩვენებელი შემცირებულია, მგრამ კვლავ მაღალია. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ გამოვლენილი ხარვეზები არაა არსებითი ხასიათის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი